3. პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებით სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დასტურია, რომ სკოლა გააზრებული აქვს პროფესიული განვითარების მნიშვნელობა და ხელს შეუწყობს კიდეც თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა დირექტორმა განმარტა, რომ ახალ თანამშრომელს ყოველთვის ეხმარებიან, რომ მიეჩვიოს სამუშაო გარემოს, მით უმეტეს, რომ სკოლის შენობა მცირე ზომისაა მასში ადაპტირება სიძნელეს არ წარმოადგენს. მან ასევე აღნიშნა, რომ მომავალშიც განახორციელებენ ამას, მაგრამ რაიმე წესის სახით ეს არ აქვთ შემიშავებული, ამასთან მზაობა გამოთქვეს, მომავლისთვის შეიმუშაონ ასეთი წესი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. პირველადი ავტორიზაციის გამო, სკოლის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე დამადასტურებელი აქტივობა, რომელიც დაადასტურებდა პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივების წახალისებას, თუმცა სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მომავალში გაითვალისწინებენ და აუცილებლად წაახალისებენ თანამშრომელთა მხრიდან პროფესიული განვითარების კითხით გამოვლენილ აქტივობებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგენა „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, დოკუმენტი, რომელშიც აღწეილია ხარისხის უზრუნველყოფის წესი, რომლის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისგან

   ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება;

ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა;

გ) შემოწმების განხორციელება;

დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი;

ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

აქედან დასტურდება რომ სკოლის ხარისხის განვითარებას ციკლური პროცესია.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. „ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში სკოლას აღწერილი აქვს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები. თითოეული მათგანი ჩაშლილია ქვეპროცესებად. დოკუმენტის თანახმად, სკოლა გეგმავს, რომ თითოეული პროცესი გაწეროს ცალკე დოკუმენტში, რომელსაც ექნება ნაწილები:

ა) პროცესის დასახელება;

ბ) პროცესის მიზანი და შედეგი;

გ) ქვეპროცესები;

დ) პროცესში მონაწილე სტრუქტურული ერთეულები/პირები;

ე) პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი;

ვ) პროცესის დიაგრამა (საჭიროებისამებრ);

თუმცა სკოლას ასეთი ცალკე დოკუმენტი არ წარმოუდგენია, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას იდენტიფიცირებული აქვს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები;

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლით გაცხადებულია, რომ სკოლაში შემოსულ განცხადებები და საჩივრი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მასზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთენ ერთად

ცალკე დოკუმენტის სახით დამტკიცებულია განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესი (დირექტორის ბრძანება N2-23, 20.09,2023), რომელშიც აღწერილია განცხადების განხილვის პრინციპები, წარდგენის წესი, განხილვის ზოგადი წესი და ვადები, საჩივრის განხილვის წესი დისციპლინური წარმოებისას, საჩივრის განხილვის წესი მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად კონკურსის შედეგების გასაჩივრებისას, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა საჩივრის განხილვა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები დაცულია სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით; სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით და დირექტორის 2023 წლის 16 ივნისის N2-202 ბრძანების „ მოსწავლის, მათი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისა და გასაჩივრების მარეგულირებელი დოკუმენტის" შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- განცხადებებისა და საჩივრის განხილვის წესი;
- სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი.

**1.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას განზრახული აქვს სასკოლო საზოგადოების მართვის პროცესებში ჩართვის მიზნით გამოიყენოს სკოლის ვებ-გვერდი, რომელიც ვიზიტის პერიოდისთვის შექმნის პროცესშია. პირველადი ავტორიზაციის გამო ინდიკატორის მოთხოვნების სრულად გადამოწმება ვერ ხერხდება, რადგასნ წინარე პროცესებს უკავშირდება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ სამეურვეო საბჭოში სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია (მშობელი, მოსწავლე, მასწავლებელი, ასევე შესაძლებელია სამინისტროს წარმომადგენელი, თემის წარმომადგენელი); ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური კომიტეტი; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

- სკოლის წესდება;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

1. სკოლამ წარმოადგინა „საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა“, რომელიც დამტკიცეულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. თუმცა ვერ წარმოადგინა აღნიშნული გეგმის შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმების დამადასტურებელი წერილი, რადგან აღნიშნული გეგმა „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილების მე-5 მუხლის მიხედვით **შეთანხმებული უნდა იყოს შსს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან.**

   სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა MES 1 23 00758605, 17/03/2023 წერილი, რომლითაც სკოლას გაეგზავნა სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის 28.02.2023, N143 მიწერილობა „სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე“ მიწერილობაში სკოლას მითითებული აქვს ხარვეზები, გამოსწორების ვადები (ვიზიტის პერიოდში ვადა ჯერ კიდევ ჰქონდა სკოლას) და გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებების შესაბამის ვადებში შეუსრულებლობა, ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს დაჯარიმებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177-ე მუხლით.

   სკოლას ჰყავს ექთანი და აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია 2022 წლის 21 მარტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნების თანახმად. ექთანი თავის კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს ჟურნალებს ზემოაღნიშნულ ბრძანებაში წარმოდგენილი დანართების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა განსაზღვრული ჰყავს უფლებამოსილი პირი. სკოლის გარე პერიმეტრზე არის ვიდეოსათვალთვალო კამერები, შიდა პერიმეტრზე არ არის აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს: ა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან; ბ) შიდა პერიმეტრზე უსაფრთხოების კამერების მონტაჟის უზრუნველყოფას. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 21.11.2023 – 21.11.2024, მითითებულია ადამიანური რესურსი დირექტორი და ბუღალტერი. **შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**

2. სკოლა იცავს და ახორციელებს "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით განსაზღვრულ პროცედურებს. ამ წესის შესაბამისად სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რადგან მანდატური არ ჰყავს ბრძენებით განსაზღვრულია ულებამოსილი პირი/

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების ერთ-ერთი მიზანი სწორედ "ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა", ბრძანების მოთხოვნების განხორციელებამ, უნდა უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა. გარდა ამისა, ასეთივე უსაფრთხო გარემოს შექმნას უწყობს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ხელს ის გარემოება, რომ ზემონახსენები ბრძანების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სკოლაში სხვა ნომრებთან ერთად გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის ნომერი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ექთანმა, აღნიშნა, რომ ყოველდღიურად აკვირდება სკოლის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში მითითებებს აძლევს დამლაგებელს. ექთან მიეცა რჩევა აწარმოოს კონტროლის აღრიცხვის ჟურნალი, სადაც აისახება სკოლის შენობის შემოწმების თარიღი, ადგილი, მდგომარეობა სანიტარულ- ჰიგიენური კუთხით და გაცემული რეკომენდაციები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლამ ვიზიტის დროს დაამტკიცა დოკუმენტი „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესი“, ბრძანება 2-26, 26.09.2023, სკოლას ეთხოვა მტკიცებულების სახით გადმოეგზავნა ბრძანების დანართი-შემუშავებული წესი, მაგრამ სამწუხაროდ სკოლამ არ გადმოაგზავნა აღნიშნული წესი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. სკოლამ ვერ წარმოადგინა მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც დანართად ახლავს შემუშავებული „ინფორმაციის დაცვის მექანიზმები“ **შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**

7. პირველადი ავტორიზაციის გამო ვერ ხერხდება რომ გადამოწმდეს სკოლა როგორ აწარმოებს ადამიანების/პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის ბრძანება საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება;
- ულებამოსილი პირის დამტკიცების ბრძანება;
- MES 1 23 00758605, 17/03/2023 წერილი;
- 28.02.2023, N143 მიწერილობა „სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე“;
- ექთნის ხელშეკრულება;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ***ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.***

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლამ, შენობის ფლობის დამადასტურებლად, წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი. ამონაწერის მიხედვით (საკადასტრო კოდი: 67.02.43.155), მესაკუთრეა სახელმწიფო, ხოლო სკოლა მოსარგებლეა არსებობის ვადით. საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი ფართით 4200.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობები: – N1 სკოლის შენობა ფართით 491.2 კვ.მ. და N2 დამხმარე შენობა - 27.2 კვ.მ., სკოლა რეაბილიტირებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა შენობის ექსპლოატაციის შესახებ დასკვნა მატერიალური სახით და ეთხოვა, მტკიცებულების სახით გადმოეგზავნა

ცენტრში სხვა გადმოსაგზავნ მტკიცებულებებთან ერთად, თუმცა სკოლამ არ ან ვერ გადმოაგზავნა ექსპლუატაციაში მიღების დასკვნა.

სკოლის შენობაში სულ 9 საკლასო ოთახია. სკოლაში კი 6 ფინანსური კლასია, მათგან I-III და II-IV კლასები კლასკომპლექტია, ხოლო VIII კლასი არ არის. გარდა საკლასო ოთახებისა სკოლაში არის კომპიუტერული კლასი, რომელიც ინტეგრირებულია ბიბლიოთეკასთან, იგივე სივრცე შესაძლებელია საკონფერენციო დარბაზად გამოყენება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, ოთახი სასადილო დანიშნულებით, სველი წერტილების ფლიგელი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც მოცემულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ასევე ციფრული განვითარების გეგმა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, შენობა ერთსართულიანია და მასში შესასვლელად გაკეთებულია პანდუსები, მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. ამ ეტაპზე სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია ყველასთვის, დემოკრატიული, თანაბარი გამოყენების პრონციპების დაცვით. ის ხელმისაწვდომია ყველასთვის, ერთნაირად და თანაბრად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბიბლიოთეკა,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------
------------------------

რომელიც კულტურულ ღონისძიებათა შეხვედრების ადგილია. სკოლის წარმომადგენლებმა განსაკუთრებით აღნიშნეს შერიგებისა და მოქალაქეთა თანასწორობის საკითხებში სამინისტროს წარმომადგენელთან შეხვედრა რომლის თემა იყო ბულინგი, ნაადრევი ქორწინება. შეხვედრას ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი და შსს სამინისტროს წარმომადგენელი. ასეთი შეხვედრები სხვაც იმართება, რაც გვაძლევს იმის დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ დავასკვნათ - სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია. ლაბორატორიაში არის ონკანი ნიჟარით, ამწოვი სისტემა არ არის, თუმცა არის ბუნებრივი განათება/განიავების საშუალება, ლაბორატორიული აღჭურვილობა ძალიან მწირია. ლაბორატორიაში არის სხვადასხვა სახის რუკები და თვალსაჩინოებები.
   გარდა ამისა სკოლას აქვს კომპიუტერული კლასი, რომელიც სკოლის ბიბლიოთეკაში არის ინტეგრირებული. ბიბლიოთეკაში არის კურიკულუმით განსაზღვრული სასკოლო სახელმძღვანელოები და მხატრული ლიტერატურა, ბიბლიოთეკის წიგნების ნაწილი დასამუშავებელია საბიბლიოთეკო წესით (არ აქვს სკოლის ბეჭედი და საინვენტარო ნომრები). სკოლას შტატით არ ყავს ბიბლიოთეკარი. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით ბიბლიოთეკარის ფუნქციებს ანაზღაურების გარეშე, ასრულებს დამლაგებელი, რომელიც სოფლის ბიბლიოთეკის ყოფილი ბიბლიოთეკარია. სკოლას ბიბლიოთეკის წიგნების დიდი ნაწილი, სწორედ სოფლის ბიბლიოთეკის რეორგანიზაცის შედეგად აქვს მიღებული წიგნების ნაწილი თაროებზე დალაგებულია ანბანურად, ნაწილი დასალაგებელია. **სკოლას ეძლევა რჩევა დაამუშაოს წიგნები და აღრიცხოს საბიბლიოთეკო წესით**.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი: 67.02.43.155;
- შენობის ექსპლუატაციის დასკვნა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

1. სკოლას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, არის 2 კომპიუტერი და 8 ლეპტოპი, კიდევ 2 ლეპტოპი დაწყებითების მასწავლებლებს აქვთ პერსონალურ გამოყენებაში, 3 პროექტორი, 3 პრინტერი, 1 ქსეროქსი. სკოლის კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია ბიბლიოთეკაში და სამასწავლებლოში. ორივე სივრცეში შესაძლებელია კომპიუტერული ტექნიკის გამოიყენება, როგორ სასწავლო პროცესში, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის პროცესში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირისთვის. სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ იმდენად ცოტაა მოსწავლეთა რაოდენობა (სულ 24 მოსწავლე), რომ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისთვის რაიმე წესის და განრიგის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კომპიუტერების მიღება ჩაბარების აქტები.

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს "საქმისწარმოების წესი", რომელიც დამტკიცებულია 2023 წლის 26 სექტემბრის N2-27 ბრძანებით. სკოლას ამ წესით განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტ: ა) შემოსული ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია. განსაზღვრულია წესი, რომელი დოკუმენტი რომელ ტიპს განეკუთვნება და აღწერილია მისი რეგისტრაციის წესი. სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებებს, რომლების დაჯგუფებულია საერთო და საკადრო ბრძანებებად. სკოლა არეგისტრირებს შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა ჩართულია განათლებისა და მევნიერების სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. სკოლის ყველა თანამშრომელს გააჩნია საკუთარი პროფილი ამ სისტემაში. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო eschool.emis.ge სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა "სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ  კოდისწყაროს საჯარო სკოლა". პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად სისტემატიურად, ყოველი წლის

10 დეკემბრისთვის სკოლა აწვდის ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს და ასევე ანგარიშს აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საჯარო ინფომრაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი - სკოლის საქმისმწარმოებელი. ყოველწლიურად სკოლის ბუღალტერი სკოლის ბალანსს წარუდგენს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. ასევე ყოველწლიურად სკოლის დირექტორის ვალდებულია 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს ანგარიში წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით;
- სკოლის პროფილით ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- სკოლის დირექტორის წარდგენილი ანგარიშით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშით.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას განათლების მართვის საიმფორმაციო სისტემიდან გამოყოფილი აქვს ვირტუალური სივრცე ვებ-გვერდისთვის და მინიჭებული აქვს დომეინი, რაც სკოლის მხრიდან ჯერ არ არის გააქტიურებული, ამიტომ ვებგვერდი არ ჩანს საჯარო სივრცეში, ვიდრე სკოლა არ გაააქტიურებს და ვებგვერდზე არ განათავსებს რაიმე ინფორმაციას. სკოლამ სოციალური ქსელის საკუთარი გვერდის მისამართიც წარმოადგინა, სადაც შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ახორციელებს კომუნიკაციას საზოგადოებასთან.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სოციალურ ქსელში და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, ექსპერთთათვის ცნობილი ინფორმაციის ფარგლებში, არის სანდო და უტყუარი.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობას, ახორციელებს ელექტრონული ჟურნალის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელის, მომავალში აპირებს ვებგვერდის საშუალებითაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც შექმნის პროცესშია. მასზე მწირი ინფორმაციაა განთავსებული, თუმცა ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე - ამავე ენაზე ახორციელებს სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას და ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლის ვებ-გვერდი, ვიზიტის პერიოდისთვის არ მოიცავდა ინდიკატორით მოთხოვნილ ინფორმაციას. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსებას. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია 15.11.2023 – 20.11.2023, მითითებულია ადამიანური რესურსი  დირექტორი და საქმისმწარმოებელი. საგულისხმოა, რომ არგუმენტირებული პოზიციის გადმოგზავნის დროს სკოლას უკვე აქვს ვებ გვერდი რომელზეც განთავსებულია შესაბამისი ინფორმაცია **აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებგვერდია: https://skolebi.emis.ge/schools/2405?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%E1%8



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

- ელექტრონული ჟურნალი;
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. ბიუჯეტით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების სეტანა. სკოლა ყოველი ფინანსური წლის დაწყებამდე ამტკიცებს შესყიდვების გეგმას, რომლის დამტკიცებისას გათვალისწინებულია წინა წლის გამოცდილება (მონიტორინგისა და შეფასების გზით), ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული შესყიდვების გეგმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის წარსდეგება სამეურვეო საბჭოს წინაშე ანგარიშით, მათ შორის ფინანსური ანგარიშითაც.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

☐ არ შეესაბამება

## *4. მოსწავლეთა მხარდაჭერა*

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა შესაძლებელია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტით „განცხადებებისა და საჩივრების წესი“. აღნიშნული წესი ვრცელდება პერსონალზე მშობელზე და მოსწავლეზე. წესში განმარტებულია საკუთარი უფლებების დასაცავად საჩივრის განხორციელების პროცედურები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. სკოლა შიდა რეგულაციებს ათავსებს სკოლის საინფორმაციო დაფაზე. რადგან ვებ გვერდის ამოქმედებას ვიზიტის პერიოდისთვის იწყებდა, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ვებ გვერდზეც აიტვირთება აღნიშნული „განცხადებებისა და საჩივრების წესი“.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლის მხარემ გვაჩვენა და ვიზიტის დროს გადმოაგზავნა კიდეც მოსწავლის მშობელთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან დაასადები ხელშეკრულების ნიმუში და გააკეთა განაცხადი, რომ მომავალ სასწავლო წელსაც დაიდება ხელშეკრულება სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/ მის კაანონიერ წარმომადგენელთან

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფლიებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლასა და მოსწავლის მშობელთან დასადები ხელშეკრულება.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა სკოლაზე მორგებული მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო, კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. მობილობა - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით, საფეხურის დაძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. საფეხურის დაძლევა - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების შესაბამისად. საფეხურის დაძლევის შესახებ სკოლას ჩაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის დაძლევის წესისა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დამაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, თუმცა, ის იცავს ზოგადად, მინისტრის მიერ დამტკიცებულ რეგულაციებს. სკოლამ წარმოადგინა თითოეული აქტივობის შესაბამისი ბრძანებები.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლას მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით, შინაგანაწესით განსაზღვრულია მომსახურების სახეების (დაწყებითი და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამები), პირობების და მათი სპეციფიკის შესახებ. სხვა მომსახურეობას სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა, კერძოდ აღნიშნული დოკუმენტები საჯაროდ განთავსებულია სკოლის აინფორმაციო დაფაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ყოველდღიურად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, რომელზეც გამოკრული ინფორმაცია განახლებადია. ვიზიტის პერიოდში სკოლას ახალი შექმნილი ვებგვერდი ჰქონდა და მომავალში აპირებს ვებვერდზეც განათავსოს ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

- სკოლის შინაგანაწესი;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ამორიცხვის შესახებ
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის დირექტორის საბაზო საფეხურის დამლევის შესახებ;
- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის დირექტორის კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ
- ხელშეკრულების ნიმუში მშობელთან;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ვიზიტის დროს სკოლამ შეიმუშავა და ექსპერტთა ჯგუფს მატერიალური სახით წარუდგინა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც დაამტკიცა სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 სექტემბრის N2-30 ბრძანებით. სკოლას ეთხოვა, აღნიშნული ბრძანება და წესი ელექტრონული სახით გადმოეგზავნა ცენტრისთვის, სხვა გადმოსაგზავნ დოკუმენტებთან ერთად, თუმცა სკოლამ არ ან ვერ გადმოაგზავნა.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადაპტაციის წესი მოიცავს პირველკლასელთა ადაპტაციის თავისებურებებს, ასევე სსსმ მოსწავლის და მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციის პირობებს.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

3. სკოლას დამრიგებლის მუშაობის ფუნქციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების მხარდაჭერა და მშობლის ინფორმირების მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდის ტიპები (სემესტრული, ექსტერნი, საშემოდგომო, წლიური) სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა, მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისათვის საშემოდგომო და ექსტერნის გამოცდის წინ ინიშნება კონსულტაციები მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა სკოლას დაგეგმილი აქვს შემაჯამებელი დავალებების ანალიზების გაკეთება, რის შემდეგაც გამოვლენილ საჭიროებებზე განახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს/კონსულტაციებს, რაც დაეხმარება მოსწავლეს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენას ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმასი დაგეგმილი სადიაგნოსტიკო წერების ჩატარებაც.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის მოსწავლეებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები, სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითთმართველობასთან. საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას (ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს), სპორტულ მოედანს. მხარს უჭერს კლუბების შექმნის ინიციატივებს. მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივით ექსკურსიებს, ასეთად დასახელდა ექსკურსია გრაკლიანის გორაზე.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

5. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა ფუნქციონირებს და აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლის წარმომადგენელთა მხრიდან დასახელდა აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით და ხშირ შემთხვევაში მათი ინიციატივით წარიმართა. მაგალითად აქტივობა,

რომელიც ძალიან მოსწონთ მოსწავლეებს არის კინოკლუბი, რომლის ფარგლებში მოსწავლეები სკოლაში უყურებენ ლიტერატურულ და ისტორიულ ფილმების ეკრანიზაციებს.ბულინგის კვირეულთან დაკავშირებით გასული სასწავლო წლის ოქტომბერში ისტორია+სამოქალაქო პედაგოგების მხარდაჭერით მოსწავლეებმა გააკეთეს თემასთან დაკავშირებული ნახატების პრეზენტაცია

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. სკოლის მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ მოსწავლეთა და მათი მშობელთა აზრი მნიშვნელოვანია და თუ ექნებათ უკუკავშირი რაიმე აქტივობასთან დაკავშირებით, აუცილებლად გაითვალისწინებენ მომსახურეობის გაწევისას. უნდა აღინიშნოს, რომ პირველადი ავტორიზაციის გამო ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან სკოლას შესაძლოა არ ჰქონდეს ამ აქტივობის ამსახველი წინარე გამოცდილების დამადასტურებელი მტკიცებულება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ სკოლის წარმომადგენელთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს შემთხვევები წინარე მოღვაწეობისას, მოსწავლეებისთვის პროფესიის მიმართულებით საინტერესო აქტივობა შესთავაზეს, კერძოდ სკოლის ყველა მოსწავლე ჩართული იყო აქციაში, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ესტუმრენ შპს „ტენეს“ - მეორადი გადამუშავების ქარხანას, რომელიც მდებარეობს წეროვანში და რომელიც უშვებს სატენებსა და USB კაბელებს. სტუმრობისას მოსწავლეებმა თავადაც დაამზადეს კაბელები. სკოლა მომავალშიც გეგმავს მსგავსი ღონისძიებების განხორციელებას

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. პირველადი ავტორიზაციის გამო აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება. მიუხედავად ამისა სკოლამ აღნიშნა, რომ მოსწავლეები შეახვედრეს კასპის პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელს, რომელმაც ესაუბრა კოლეჯის პროგრამების და პროფესიების შესახებ, რის შემდეგაც ერთ-ერთ მოსწავლემ გადაწყვიტა ჩაებარებინა აღნიშნულ კოლეჯში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. პირველადი ავტორიზაციის გამო სკოლას არ ჰქონდა ასეთი უკუკავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუმცა მომავალში ეცდება, რომ შეაგროვოს და დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს მშობელთა უკუკავშირის შედეგები. უკუკავშირის მისაღებად სკოლა ჩაატარებს გამოკითხვას..

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შპს „ტენეში" ვიზიტის ამსახველი მასალები.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, რომელშიც გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები, ზოგადი დებულებები, სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირება, ისგ ჯგუფისა და ისგ-ის შექმნის პროცედურები, სსსმ მოსწავლის შეფასების, დასწრებისა და გაცდენების წესი, სსსმ მოსწავლის შინ სწავლება. ამასთან, სკოლამ განაცხადა, რომ არც ინკლუზიურ განათლებაში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ჩართული რომელიმე სპეციალისტი ჰყავს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხელმძღვანელებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანებით.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. პირველადი ავტორიზაციის და სსსმ მოსწავლის არ არსებობის გამო ინდიკატორის მოთხოვნები ვერ ფასდება.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.
   **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას რამდენიმე მიმართულებით ემსახურება ტრანსპორტი. აღნიშნული მომსახურება ხორციელდება სამინისტროს მიერ შეთავაზებული პროგრამის ფარგლებში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. მოსწავლეთეთვის ტრანსპორტით მომსახურების სერვისი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით განხორციელებული პროექტის ნაწილია და ნებართვა დაკმაყოფილებულია. სკოლაში მოქმედებს ბუფეტი, რომელსაც იჯარით გადაეცა სკოლის გარკვეული ფართი სათანადო ნებართვების მიღების შემდეგ.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლის ტრანსპორტის ტაბელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - დაწყებითი საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური) | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br>კურიკულუმის შემუშავება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2 | ☑ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| კურიკულუმის განხორციელება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

## *2. სასკოლო კურიკულუმი*

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. კათედრებზე მასწავლებლებს დამუშავებული აქვთ ესგ-ს მიხედვით დაწყებითი საფეხურის სტანდარტი, სკოლას შერჩეული აქვს საჭირო რესურსები და ინსტრუმენტები, კომპლექსური დავალების ნიმუშები. მასწავლებლები საგნობრივ კათედრაზე განიხილავენ აღნიშნულ რესურსებს და არგებენ სკოლის საჭიროებებს. სკოლას ჰქონდა კურიკულუმზე მუშაობის მცირე გამოცდილება, მიუხედად ამისა სკოლა მაქსიმალურად ცდილობს გაითვალისწინოს კურიკულუმის განხორციელებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას, შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად თავადაც შექმნან კომპლექსური დავალებები და სრულად შეავსონ კურიკულუმის ჩარჩო.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ კურიკულუმების შემუშავბისას გათვალისწინებული და ასახულია სასკოლო საზოგადოების, კერძოდ, მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესები, რაც დასტურდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------
------------------------

დოკუმენტითაც - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. კათედრის წევრები ხვდებიან მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და აცნობენ სასწავლო გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, კომპლექსური დავალებების იდეას. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში იკითხება, რომ სადამრიგებლო საათებზე და სხვადასხვა ტიპის სასკოლო ღონისძიებებზე განსაკუთრებულად მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების მოთხოვნების შესაბამისად, მათ ერთად კათედრის სხდომაზე განიხილეს და შეიმუშავეს კურიკულუმები, გაითვალისწინეს მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ითანამშრომლეს ერთმანეთთან, გაიზიარეს ერთმანეთის გამოცდილება, გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების წევრების მოსაზრებები და შესაბამისად შეადგინეს საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოება და დაინტერესებული პირები. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით დასტურდება, რომ შემუშავებული და განხორციელებული კურიკულუმების გაზიარება მოხდება სასკოლო საზოგადოებისათვის სხვადასხვა საშუალებებით, კერძოდ, სოციალური მედიით, ბეჭდვითი მასალებით, საინფორმაციო დაფებით და სხვა. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს ექნება საშუალება, რომ გამოთქვას საკუთარი მოსაზრება არა მარტო საგნობრივ კურიკულუმებთან დაკავშირებით, არამედ სადამრიგებლო პროგრამის, სასკოლო სასწავლო გეგმის შესახებ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმი
- მშობელთა კრების ოქმი
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

### 2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ დაწყებითი მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ კურიკულუმი არის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე კათედრამ წარმოადგინა ამ კლასებისთვის კომპლექსური დავალების ნიმუშები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ. კომპლექსური დავალება კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში მკაფიოდ იკითხება კომპონენტების შესაბამისობა გრძელვადიან მიზნებთან. ნათლად ჩანს, თუ რა მასალაზე დაყრდნობით წარიმართება სწავლება. სამიზნე ცნებების დამუშავება ხდება სავალდებულო თემების ფარგლებში შერჩეული საკითხებით და მათთან დაკავშირებული შესაბამისი კონტექსტ-მაგალითებით; კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები მიზანმიმართულია გლობალური ფუნქციური უნარების კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, კოლაბორაციის, მოქალაქეობისა, ხასიათისა და ნებელობის განვითარებაზე. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ კათედრებს არ აქვთ საკმარისი გამოცდილება, თუმცა აქვთ მზაობა კურიკულუმები მიმართონ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე, სწავლის პროცესში გააქტიურონ მოსწავლის გლობალური ფუნქციური 6 უნარი და განუვითარონ მოსწავლეებს გამჭოლი კომპეტენციები მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად აგრთვე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში აღქმულია გლობალური ფუნქციური 6 უნარის განვითარებაში პროექტების როლი.

**რჩევა: მატემატიკა** - შეარჩიონ და განახოციელონ თითო კომპლექსური დავალება მაინც თითოეულ კლასში, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა გლობალურ/ფუნქციური უნარების განვითარებაში

**უცხოური ენები** - უცხოური ენების კათედრამ თანამშრომლობის პრინციპით ყურადღებით განიხილოს მეორე უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები, მაქსიმალურად დაუახლოვოს მოთხოვნილ ცხრილს, სადაც გაწერილი იქნება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითი, რესურსები, კომპლექსური დავალების პირობა, კომპლექსური დავალების პროდუქტი და ა.შ.

**ესთეტიკა - ხელოვნების** II კლასის კურიკულუმში მოხდეს ძირითადი კონტექსტ-მაგალითის გრაფაში საგაკვეთილო თემების ჩამონათვალის ნაცვლად იმ იდეის ჩამოყალიბება თუ რა კონტექსტში ხდება თემის დამუშავება კომპლექსურიდან გამომდინარე (თემაში სადაც არ ხორციელდება კომპლექსური დავალება არ არის სავალდებულო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

კონტექსტ-მაგალითის გრაფის შევსება). VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, ცნებების გრაფაში I-II-III ჩაიწეროს ცნებები, რომლებიც მუშავდება თემის ფარგლებში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

მასწავლებლები კარგად იცნობენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლის წინარე ცოდნას, ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ მის ინტერესებს და მიყვებიან განვითარების დინამიკას. სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას.

სკოლას სულ ჰყავს 22 მოსწავლე, არ ჰყავთ მერვე კლასი,სკოლაში არ არის სსსმ მოსწავლე, მასწავლებლებს დეტალურად არ აქვთ გაწერილი სსსმ მოსწავლისათვის 2023-2024 სასწავლო წლისთვის შესაბამისი და მოსწავლეზე მორგებული აქტივობები, თუმცა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სკოლას ერთ-ერთ საკითხად უწერია სსსმ მოსავლის პროგრამის შემუშავება. ასევე, ინტერვიურების პროცესში კათედრის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს სწავლების ინკლუზიურ მიდგომას, რომ მათთვის ეს პრიორიტეტია და მოსწავლეებს მიეწოდებათ რესურსები და დავალებები ინდივიდუალური საჭიროებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა გამოიყენება მხოლოდ მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან და მეექვსე კლასებში. სკოლაში არსებობს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გამოყენების გამოცდილება. მოსწავლე ფასდება სამი კომპონენტის მიხედვით: საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ძირითადად გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი უკუკავშირი, რეკომენდაციები შეფასების რუბრიკა პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან . განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს და ცდილობს უკუკავშირი მასზე დაფუძნებით განახორციელოს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები მიწოდებულია სამინისტროს მიერ ქოუჩინგის ფარგლებში. კურიკულუმში დაგეგმილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

კომპლექსური დავალებების მიხედვით მოხდება განმავითარებელი შეფასების წარმოება და მიეცემათ მოსწავლეებს უკუკავშირი. პედაგოგები მოახდენენ მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებას. შეფასებების განსაზღვრა მოხდება სტანდარტით გათვალისწინებულ ინდიკატორებთან მიმართებით. სკოლის მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა რუბრიკები ძველი ფორმითაა წარმოდგენილი/ან ძალიან ზოგადია, ან ფორმები ცარიელია. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ უმოკლეს დროში გამოასწორებენ ხარვეზს. დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ დამატებით წარმოადგინა შეფასების რუბრიკები. ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრის მიერ იგეგმება დანარჩენი თემების და კლასებისთვის შეფასების რუბრიკების თანდათანობით შექმნა; ამგვარად, მათ ექნებათ შეფასების რუბრიკების ბაზა, რასაც კათედრის ყველა წევრი გამოიყენებს.

**რჩევა: მატემატიკა** - შექმენან შეფასების რუბრიკების ბაზა ყველა კლასისთვის და თითოეული თემისთვის, რაც დაეხმარებათ მოსწავლეთა რელევანტურ შეფასებაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლას ერთ-ერთ განსახორციელებელ საკითხად გაწერილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც დაკონკრეტებული იქნება, კათედრებმა და ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელმა პირებმა როგორ უნდა გააანალიზონ დაკვირვების და დიაგნოსტირების შედეგები და მის საფუძველზე როგორ შეიტანონ ცვლილებები სასწავლო პროცესში. გამოყენებული იქნება თვითრეფლექსია, დაინერგება წარმატებული გაკვეთილების პრაქტიკის გაზიარება და გათვალისწინებული იქნება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული მიზნები და მისაღწევი შედეგები. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დაიგეგმება გადამუშავებული კურიკულუმი. ჩანს, რომ სკოლა დაწყებით კათედრაზე ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მისი ანალიზის შედეგებს;

**რჩევები: საზოგადოებრივი მეცნიერებები -** მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახოს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული შეიძლება იყოს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. სკოლამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშავოს კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია და ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებით: სავალდებულო თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების გამოკვეთა/ძირითადი საკითხების სხვაგვარად გადაჯგუფება; ძირითადი კონტექსტ-მაგალითის ამსახველი რესურსის დახვეწა/სხვა რესურსებით ჩანაცვლება; კომპლექსური დავალების პირობის

ადაპტირება, შემოქმედებითი პროდუქტის ცვლილება; კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებული დაზუსტებების (ქუდის ქვეშ „ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ“) და მათთან დაკავშირებული შეკითხვების ფორმულირების შეცვლა/განსხვავებულად დაჯგუფება; აქტივობებისა და დამატებითი რესურსების ჩანიშვნა, ასახვა რომლებზე დაყრდნობითაც ეფექტურად მოხერხდა სამიზნე ცოდნის კონსტრუირება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმი, საგნობრივი პროგრამები
- სამოქმედო გეგმა
- შეფასების რუბრიკები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

კურიულუმებში, სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში, მასწავლებლებთან გასაუბრებისას ნათლად ჩანს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა შემოქმედებით პროცესებში, რომლებიც ზრდის მოსწავლის შინაგან მოტივაციას. ყოველივე ეს იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ჩართოს მოსწავლეები აქტიურ შემოქმებით პროცესში. დაწყებით საფეხურზე საგნებში დაგეგმილია სხვადასხვა საკითხების შესწავლა კომპლექსური დავალებებით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა უნდა იმუშაონ და შექმნან ისეთი შემოქმედებით პროდუქტები, როგორიცაა - საინფორმაციო ბუკლეტი, ფოტოკოლაჟი, პოსტერები, პრეზენტაციები, ამ პროდუქტების დახმარებით დაადასტურონ თავისი ცოდნა შესასწავლი საკითხებისადმი. ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლის პროცესში მოსწავლის აქტიურ სუბიექტად გარდაქმნის საშუალებად სწორედ კომპლექსური ბუნების დავალებებს მიიჩნევს. ეს დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. ინტერვიუდან ასევე გაირკვა, რომ მასწავლებლები ხშირად იყენებენ სახალისო აქტივობებს, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებას, რაც ემსახურება არა მარტო აქტიურ ჩართულობას, არამედ მაღალი სააზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას. ყოველივე ეს იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ჩართოს მოსწავლეები აქტიურ შემოქმებით პროცესში.

**რჩევა: ესთეტიკური აღზრდა** - კათედრამ მოსწავლეებს შესთავაზოს მეტი შემოქმედებითი, არაფორმალური განათლების კუთხით აქტივობები, პროექტები. მოახდინონ როგორც კათედრის საგანთაშორისი ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები, ასევე სხვა კათედრის საგნებთან ინტეგრირება. სსაგნობრივი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ თემებში ხდება იდეური თუ თემატური გადაკვეთთები, რაც მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, როგორც მუსიკისა და ხელოვნების საგანში, ასევე სხვა კათედრის საგნობრივ თემებთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები აგებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპების გათვალისწინებით. დაგეგმილია კომპლექსური დავალებების განხორციელება, რომლის დაგეგმვისას გათვალისწინებულია წინარე ცოდნა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა გაგვიზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების პირობები, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან არსებულ ცოდნას დაუკავშირონ ახალი. კურიკულუმებში დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მუშაობა, მასწავლებელს საშუალებას მისცემს სასწავლო პროცესში ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავებისას შექმნას ისეთი მიზნობრივი გარემო, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეები მოახდენენ ცოდნათა ორგანიზებას პროდუქტის შესაქმნელად. სავალდებული თემების ფარგლებში შერჩეული საკითხები და კომპლექსური დავალებების პირობაც ფორმულირებულია ისე, რომ შემოაქვს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სკოლის დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სწავლის სწავლა ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნათა ურთიერთკავშირს და ორგანიზებას. გასაუბრების დროს აგრეთვე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა და

გამოცდილება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალურ გამოცდილებასა და ცნობისმოყვარეობაზე დაყრდნობით უზრუნველყონ მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. პროექტებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები ითვალისწინებენ საკუთარ შესაძლებლობებს, გაბედულად საუბრობენ შემოქმედებითი პროდუქტის შესახებ. აღწერენ და ხსნიან თუ როგორ გააკეთეს, რაში დასჭირდათ მასწავლებლის დახმარება, როგორ გაუმკლავდნენ ხელისშემშლელ ფაქტორებს. მოსწავლეები პრეზენტაციის შემდეგ აკეთებან თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას. ყოველივე ეს კი მოსწავლეს ეხმარება სწავლის სწავლაში და საკუთარი მიღწევების თვითშეფასებაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მოცემული აქტივობებიდან გამომდინარე იკითხება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე. პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა მისცემს მოსწავლეებს მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ პრაქტიკული უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, მოსწავლეებმა როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრული კომპლექსური დავალებები საშუალებას მისცემს პედაგოგს კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ორიენტირებული იყოს პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ეს ბუნებრივად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რომელიც საშუალებას მისცემს მას უზრუნველყოს სხვადასხვა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება.

სამომავლოდ იგეგმება ისეთი აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. ამის ხორცშესხმა დაწყებითის კათედრას არ მიაჩნია პრობლემად, რადგან აქვთ გარკვეული გამოცდილება და მზაობა როგორც მასწავლებელთა მხრიდან, ისე მოსწავლეთა მხრიდანაც. პედაგოგებს გააზრებული აქვთ, რომ კომპლექსური ბუნების დავალებები ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სწავლა სწავლების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად საშუალებას აძლევს. იგივე მხარდაჭერის ერთ-ერთი კარგი მაგალითია ინტეგრირებული გაკვეთილები, რომლებსაც კათედრის შიგნით ატარებენ მასწავლებლები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები
- ცხრილის სახით წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, შესასწავლი საკითხი და შუალედური მიზნები, რომლებიც კონკრეტული ცნების მკვიდრი წარმოდგენის გააზრებას ისახავს მიზნად.

**რჩევა: ესთეტიკური აღზრდა** - ხელოვნების საგნის VI კლასის კურიკულუმში I-II-III თემის ცნების გრაფებში განისაზღვროს თემაში დამუშავებული ცნებები

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

დაწყებითი კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, სწავლა მიმართული იყოს არა მხოლოდ მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს შიდა სასკოლო პროექტები, რომლებიც ემსახურება მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციური უნარების განვითარებას. სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობით მოსწავლეებს უვითარდებათ თანამშრომლობითი, პასუხისმგებლობის, ურთიერთპატივისცემის, თვითრეგულაციის და სხვა უნარები. მოსწავლე შეძლებს გაანალიზოს მოცემულ საგნობრივ კონტექსტში მიღებული ცოდნა სად და როგორ გამოიყენოს. ამის შედეგად მოსწავლეები ორიენტირებული იქნებიან პიროვნულ ზრდასა და განვითარებაზე.

**რჩევა: მატემატიკა** - გააკეთონ მეტი აქცენტი არაფორმალური განათლების განვითარების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებას

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის მასწავლებლები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლაში დაწყებით საფეხურზე ხოციელდება განმსაზღვრელი 5 კლასის მეორე სემესტრიდან და განმავითარებელი შეფასება. საჭიროა, არსებული შეფასების დახვეწა და მესამე ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მორგება, რომლის მიხედვითაც მასწავლებელი აქცენტს გააკეთებს, როგორც საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, ისე მის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე, რითაც დასტურდება რომ, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. მასწავლებლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მათ გათავისებული აქვთ ჰოლისტური შეფასების მექანიზმი. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ჩანს ჰოლისტური მიდგომის მხარდაჭერა. შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა რუბრიკებს, განმავითარებელ შეფასებას აძლევენ ზეპირსიტყვიერად და წერილობით. კომპლექსური დავალება შეფასდება სოლო ტაქსონომიის შესაბამისად, რომელიც მასწავლებელს საშუალებას მისცემს დაინახოს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ და რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე. მოსწავლის სწავლის შედეგების ნახვა შესაძლებელია ონლაინ ჟურნალის საშუალებით. ასევე მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკებს. წარმოდგენილი
შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებაც იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა იქნება სანდო და ობიექტური; ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ობიექტურად შევაფასოთ თითოეული მოსწავლე. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად

მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები დააკმაყოფილოს მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას ცალკე დოკუმენტად შემუშავებული არ აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმად შეიძლება მივიჩნიოთ წარმოდგენილი მტკიცებულება - საგნობრივი კურიკულუმი, მოსწავლის მიღწევების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, კათედრის ოქმები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაიხვეწება შეფასების ინსტრუმენტები. სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას. სკოლა გამოთქვამს მზაობას, დაადგინოს მოსწავლეთა პროფილები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტიებები. ჩანაწერებიდან ჩანს, რომ შეფასებაზე და შედეგების გაანალიზებაზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები ითანამშრომლებენ კათედრებთან და ყოველ ჯერზე მიიღებენ ამ ციკლურ პროცესებში მონაწილეობას. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს მეორე ინსტრუმენტის გამოყენება და , ასევე, დააზუსტეს, რომ დიაგნოსტირებას განახორციელებენ წელიწადში ორჯერ, რაც მათ საშუალებას მისცემს, დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური და კლასის პროფილები და მოსწავლეთა განვითარების დინამიკა.
<u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ადამიანურ რტესურსად მითითებულია დირექტორი და კათედრები. **აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**</u>

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

დაწყებით საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ამისათვის სკოლას გააჩნია განკუთვნილი სივრცე სადაც ხდება დოკუმენტების დაცვა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები

## 2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის სკოლაში შექმნილია ჯანსაღი პოზიტიური გარემო. როგორც წესი, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ესგ-ს. სკოლაში სწავლა სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს, სასწავლო პროცესისათვის ღია მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები.მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

კურიკულუმებიდან, კომპლექსური დავალების ნიმუშებიდან, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა- სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე. არსებული პროექტების საქმიანობა ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება. დაწყებით საფეხურზე განხორციელებულია მრავალი აქტივობა არაფორმალური განათლების ხაზით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; მოსწავლეებმა მიღებული პროდუქტი და ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ სიტყვიერად. ისინი ეცნობიან ერთმანეთის ნამუშევრებს, უზიარებენ გამოცდილებას და შესაძლოა, ერთობლივადაც გადაწყვიტონ კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაგეგმილი კურიკულუმები მიზანმიმართულია მოსწავლეთა გლობალური ფუნქციური უნარების, მათ შორის კოლაბორაციისა და კომუკაციის უნარების განვითარებაზე. გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში სხვადასხვა აქტივობები ისე წარმართონ, რომ შეიქმნას პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში, მათ მიერ განხორციელებულ სასკოლო აქტივობებსა და პროექტებში, მასწავლებლებთან და დირექციასთან ინტერვიუში , ნათლად ჩანს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის

არსებობა. გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება და თანამშრომლობითი კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლის ერთწლიან სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია, სწავლა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას; მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები,
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად, დანერგვის პროცესში გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ამდენად, სკოლა მზადაა უპასუხოს დასმულ კითხვებს მის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის სისტემით. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიც ამის დადასტურებაა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასებასებისას უნდა გამოიკვეთოს რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ახალი სასწავლო წლიდან მასწავლებლებთან თანამშრომლობით შეიქმნება მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების დახმარებასა და მხარდაჭერაზე. დაიგეგმება მიზნის მიღწევის მექანიზმები. კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთს, განახორციელებენ მონიტორინგს. დასახავენ გაუმჯობესების გზებს.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ისინი გეგმავენ მასწავლებელთა მხარდაჭერას, ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე, კათედრის წევრები ინტენსიურად დაესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, განახორციელებენ მონიტორინგს. დასახავენ გაუმჯობესების გზებს. ერთმანეთს შესთავაზებენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი , რომ კურიკულუმის შეფასება და მონიტორინგი მოიაზრება , როგორც კურიკულუმის განხორციელების მანძილზე სირთულეები, პრობლემის გადაჭრის გზების დანახვის საშუალება, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოიკვეთება სწავლის პროცესის ხარვეზები, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების პროცესის სწორი წარმართვა განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას, საშუალებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- კურიკულუმები

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მიღებული ინფორმაციით ნათელი ხდება, რომ შეფასებას ახდენენ მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით და რომელიც

ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. შეფასებისას აქცენტი კეთდება მოსწავლეთა მიღწევებზე და შემაჯამებელ დავალებებზე. მომავალ წელს გეგმავენ, რომ ახალი სასწავლო წლის დაგეგმვაში გაიზიარონ წინა წლების გამოცდილება, და რაც აუცილებელია ჩართონ სასკოლო საზოგადოება: დირექტორი, მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის თვითშეფასებიდან და სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ სურვილის მიხედვით ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს და ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ. განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში კი ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი კონტექსტები. სკოლა გეგმავს შეფასების სისტემის შემუშავებას, რომელიც ჰოლისტური შეფასების მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებასთან ერთად მოიაზრებს შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს . სასწავლო პროცესის ანალიზისათვის მონაცემთა შეგროვება სხვადასხვა მეთოდით ხდება. მაგ. დაკვირვებით, ინტერვიუს საშუალებით და სხვა. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მის გაუმჯობესებას, რაც მიმართული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარებისაკენ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასებას ახორციელებს სკოლა სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებს კლასის, მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. სასურველია სკოლამ შეფასებისას გამოიყენოს მულტიფაქტორული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

შეიძლება ითქვას, ნებისმიერი პროცესის თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იყოს დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში აისახა დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება, კერძოდ, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე გამოიკვეთა რამ იმუშავა კარგად, ცუდად, რომელმა აქტივობამ აღძრა მოსწავლეთა ინეტერსი, როგორ გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა, რამ იმუშავა მოტივაციაზე, რას შეცვლიდნენ მომავალი წლის კურიკულუმებში და ა.შ. ანუ გამოიკვეთა კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი, რომლის შერულებასაც კათედრა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს წინა სასწავლო წლის კურიკულუმების ანალიზის საფუძველზე დანახული მიგნებები ასახოს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. აგრთვე კათედრამ გამოხატა მზაობა, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის, შეფასების შედეგებზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------
------------------------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საბაზო საფეხური

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური) | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2** | ☑ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| კურიკულუმის განხორციელება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### *2. სასკოლო კურიკულუმი*

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. ურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლას წარმოდეგენილი აქვს კურიკულუმები, რომელიც აგებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. კურიკულუმის ჩარჩო სწორად აქვთ განაწილებული, მაგრამ სრულად არ აქვთ შევსებული. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ კურიკულუმები, მათ ერთობლივად შეადგინეს. შედგენისას კათედრის წევრები ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ითვალისწინებდნენ წინა წლების გამოცდილებას, მოსწავლეთა ინტერესებს, მათ შესაძლებლობეს, მშობლების უკუკავშირს. ასევე აღნიშნეს, რომ საერთოდ სასწავლო გეგმებზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მუშაობისას კათედრის წევრები იკრიბებიან, არჩევენ სახელმძღვანელოებს, საგნობრივ პროგრამებს, და სასკოლო საზოგადოებასთან (დირექციასთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან) ერთად ახდენენ არსებული პრობლემის მოგვარებას. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ კურიკულუმზე მუშაობის მზაობა, კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესები ასახული იქნება კურიკულუმში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

კურიკულუმის შედგენაში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წევრები. კურიკულუმი შედგენილია მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა რომ საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კათედრის წევრებმა კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები: კერძოდ კათედრის წევრები ხვდებიან მოსწავლეებს, მათ მშობლებს, სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს და აცნობენ სასწავლო გეგმებს, შეფასების კრიტერიუმებს, კომპლექსური დავალებების იდეას, მოახდინეს მათი ანალიზი და მათგან მიღებული უკუკავშირი გაითვალისწნეს საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათ კათედრის სხდომაზე ერთად განიხილეს კურიკულუმისა და კომპლექსური დავალებების შედგენის დეტალები. ითანამშრომლეს, გაიზიარეს ერთმანეთის გამოცდილება, გაითვალისწინეს სასკოლო საზოგადოების წევრების მოსაზრებები, მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად შეადგეინეს საგნობრივი კურიკულუმები. გასაუბრებიდან ირკვევა კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით დასტურდება, რომ შემუშავებული და განხორციელებული კურიკულუმების გაზიარება მოხდება სასკოლო საზოგადოებისათვის სხვადასხვა საშუალებებით, კერძოდ, სოციალური მედიით, ბეჭდვითი მასალებით, საინფორმაციო დაფებით და სხვა. მოსწავლეთა ნამუშევრები კი დროდადრო გამოიფინება დერეფნებში, სადაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, დაათვალიერონ ერთმანეთის ნამუშევრები. შექმნილ კურიკულუმებს, ფესტივალების მოწყობით და საერთო სასკოლო აქტივობებში ჩართულობით, იზიარებს სასკოლო საზოგადოებაც.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმები
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

**2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ

ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

საბაზო საფეხურზე სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმები, რომელიც აგებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. სკოლა მცირეკონტინგენტიანია ზოგიერთ კლასში ერთი ან ორი მოსწავლეა, ამიტომ მასწავლებელს არ უჭირს, შეადგინოს ისეთი კურიკულუმი, რომელიც მოსწავლეთა ინტერსებზე და მათ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან უფრო მეტად დახვეწენ და შეადგენენ საგნობრივ კურიკულუმებს, რომლებიც მორგებული იქნება ყველა მოსწავლეზე საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით. დაგეგმავენ ისეთ კომპლექსურ დავალებებს რითაც გაითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას. ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საგნობრივ კურიკულუმებში, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად არის შესაბამისობაში საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებთან და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. სკოლაში შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა ხელს შუწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ) საბაზო საფეხურის საგნების კურიკულუმებში -



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები. მასწავლებლებმა კურიკულუმების შემუშავების დროს გაითვალისწინეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიან მიზნები და ამის მიხედვით დაიგეგმა მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებენ მოსწავლეების ჯგუფური, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი უნარების განვითარებას, რაც თავისთავად ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებასაც იძლევა.

**რჩევა: მათემატიკა** - შეარჩიეთ და განახორციელეთ თითო კომპლექსური დავალება მაინც თითოეულ კლასში, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა გლობალურ/ფუნქციური უნარების განვითარებაში.

**უცხოური ენები** - უცხოური ენების კათედრამ თანამშრომლობის პრინციპით ყურადღებით განიხილოს მეორე უცხოური ენის საგნობრივი კურიკულუმები, მაქსიმალურად დაუახლოვოს მოთხოვნილ ცხრილს, სადაც გაწერილი იქნება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კონტექსტ-მაგალითი, რესურსები, კომპლექსური დავალების პირობა, კომპლექსური დავალების პროდუქტი და ა.შ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

წარმოდგენილი მასალებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ თავისებურებებს, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების გათვალისწინებით. მასწავლებლებს დიფერენცირებული მიდგომები არ უჭირთ, რადგან კლასებში მოსწავლეთა ძალიან მცირე რაოდენობაა. მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებული სწავლა სწავლების პრინციპებს. აქვთ მზაობა მოსწავლეებს შესთავაზონ მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სკოლას ერთ-ერთ საკითხად უწერია სსსმ მოსავლის პროგრამის შემუშავება. ასევე, ინტერვიურების პროცესში კათედრის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს სწავლების ინკლუზიურ მიდგომას, რომ მათთვის ეს პრიორიტეტია და მოსწავლეებს მიეწოდებათ საჭიროებისამებრ რესურსები და დავალებები.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სკოლის მიერ წარმოდეგენილ მასალებსა და მასწავლებლებთან ინტერვიურებისას ჩანს, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ნათლად ჩანს თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ მათ აქვთ შეფასების რუბრიკების შედგენის გამოცდილება. განმავითარებელი შეფასებისას იყენებენ თვითშფასებას, ურთიერთშეფასებას, ზეპირ კომენტარებს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ისინი გეგმავენ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკების შექმნას, სამიზნე ცნებებთან მიმართებით.აბაზო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე.

**რჩევა: მათემატიკა** - შექმენით შეფასების რუბრიკების ბაზა, ყველა კლასისთვის და თითოეული თემისთვის, რაც დაგეხმარებათ მოსწავლეთა რელევანტურ შეფასებაში

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში მოახდენს არსებულ წინარე გამოცდილებაზე დაყრდნობით ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას. ეს ანალიზი საფუძვლად დაედება სკოლის კურიკულუმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმს. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების, ასევე, პედაგოგებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლა დაეყრდნო წინარე გამოცდილებას. ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებულ რჩევევბს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმი, საგნობრივი პროგრამები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში, კურიკულუმებში, ნათლად ჩანს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა შემოქმედებით პროცესებში, რომლებიც ზრდის მოსწავლის შინაგან მოტივაციას. ყოველივე ეს იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ჩართოს მოსწავლეები აქტიურ შემოქმებით პროცესში. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს ხშირად უწევთ გაკვეთილის გეგმიდან გადახვევა, თუ კი ამას მოსწავლეთა ინტერესები მოითხოვს. მიმართავენ სახალისო აქტივობებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს, რაც ემსახურება არა მარტო აქტიურ ჩართულობას, არამედ მაღალი სააზროვნო უნარებისა და შემოქმედებითობის განვითარებას. ყოველივე ეს იძლევა შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა ჩართოს მოსწავლეები აქტიურ შემოქმედებით პროცესში.

**რჩევა: ესთეტიკური აღზრდა -** კათედრამ მოსწავლეებს შესთავაზოს მეტი შემოქმედებითი, არაფორმალური განათლების კუთხით აქტივობები, პროექტები. მოახდინონ როგორც კათედრის საგანთაშორისი ინტეგრირებული გაკვეთილები/პროექტები, ასევე სხვა კათედრის საგნებთან ინტეგრირება. Sსაგნობრივი სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ თემებში ხდება იდეური თუ თემატური გადაკვეთთები, რაც მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა, როგორც მუსიკისა და ხელოვნების საგანში, ასევე სხვა კათედრის საგნობრივ თემებთან.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს. საბაზო საფეხურის ყველა კლასებში, დაგეგმილია კომპლექსური დავალებები, რომლის დაგეგმვაშიც გათვალისწინებულია წინარე ცოდნა, რაზეც კონსტრუქტივისტული პრინციპით ხდება ახალი ცოდნის დაშენება. ცნობილია, რომ მოსწავლე ყველაზე კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია განვლილს უკავშირდება. გასაუბრებისას ისაუბრეს კომპლექსური დავალების განხორციელების პირობებზე, მასწავლებლები ეხმარებიან მოსწავლეებს არსებულ ცოდნას დაუკავშირონ ახალი. გაკვეთილის პროცესი მიმართულია ახალი ცოდნის კონსტრუირებისკენ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ საფეხურებრივ მიზნებსა და შედეგებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სწავლის სწავლა ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, ცოდნათა ურთიერთკავშირს და ორგანიზებას. პროექტებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეები ითვალისწინებენ საკუთარ შესაძლებლობებს, გაბედულად საუბრობენ შემოქმედებითი პროდუქტის შესახებ. აღწერენ და ხსნიან თუ როგორ გააკეთეს, რაში დასჭირდათ მასწავლებლის დახმარება, როგორ გაუმკლავდნენ ხელისშემშლელ ფაქტორებს. ამ დროს წახალისებულია მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და მეტის გაგების სურვილი გაუჩნდება. მოსწავლეები პრეზენტაციის შემდეგ აკეთებან თვითშეფასებას და ურთიერთშეფასებას. ყოველივე ეს კი მოსწავლეს ეხმარება სწავლის სწავლაში და საკუთარი მიღწევების თვითშეფასებაში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებული სწავლება თავისთავად უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებას ვინაიდან კომპლექსური დავალების შედეგი არის პროდუქტი, რომლის დამზადებასაც სჭირდება დეკლარატიული ცოდნა, პროცედურების განხორციელება და ნასწავლის ტრანსფერი ახალ გარემოში.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

საბაზო საფეხურზე შედგენილ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეის, სასწავლო პროექტების განხორციელებისას მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას. სკოლა აცნობიერებს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი თემატური გეგმები და კომპლექსური დავალებები, სწორედ ის სტრუქტურული ერთეულებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებული სწავლების საშუალებას იძლევა. ორიენტირებულია მოსწავლეთა ცოდნის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით ცოდნის ტრანსფერზე. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- ცხრილის სახით წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის - ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი საბაზო საფეხურის საგნების სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც მოსწავლეს გაიყვანს საგნობრივი სტანდარტით გაწერილი ცნებების შესწავლასა და გააზრებაზე. მოსწავლე შეძლებს გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლას აქვს მზაობა კომპლექსური დავალებები განახორციელოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სამომავლოდ მასწავლებლები მეტ ყურადღებას დაუთმობენ სასწავლო პროცესის ორგანიზებას. რათა ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომებით გაზარდონ მოსწავლეთა ინტერესი სწავლის მიმართ და წარმატებული გახადონ სწავლა სწავლების პროცესი. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენის გათავისებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სწავლა მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე. მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გაირკვა , რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა სასკოლო პროექტებში, რომლებიც ემსახურება მოსწავლის კოგნიტური და სოციო-ემოციური უნარების განვითარებას. პროექტები დაგეგმილია მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე. პროექტში მონაწილეობით მოსწავლეებს განუვითარდათ თანამშრომლობითი, ურთიერთპატივისცემის, თვითრეგულაციას, პასუხისმგებლობის და სხვა უნარები. მასწავლებლებთან გასაუბრებისასაც გაირკვა , რომ სკოლაში ტარდება საგნობრივი შეჯიბრებები, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს გულშემატკივრობენ, გამოხატავენ თავიანთ პოზიციებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლაში მეტი ყურადღება დაეთმობა ისეთი კომპლექსური დავალებების დაგეგმვას, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში პიროვნული და ფსიქო სოციალურ განვითარებას.

**რჩევა: მათემატიკა** - უფრო მეტად გააკეთეთ აქცენტები არაფორმალური განათლების განვითარების კუთხით, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლაში საბაზო საფეხურზე ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლები აქცენტს აკეთებენ, როგორც საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, ისე მის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობაზე და პიროვნულ განვითარებაზე, რითაც დასტურდება რომ, შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მასწავლებლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ მათ თეორიულად გათავისებული აქვთ ჰოლისტური შეფასების მექანიზმი. შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა რუბრიკებს, განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში, რომელიც სკოლას ნიმუშების სახით აქვთ წარმოდგენილი, დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის სფუძველზე, ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს, სასწავლო წლის დაწყებამდე შექმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ბაზა, რაც კიდევ მეტად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა ჰოლისტურ განვითარებას. ასევე, კომპლექსური დავალებები მოიცავს კონტექსტის შესაბამის განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელ შეფასებას აძლევენ ზეპირსიტყვიერად, წერილობით. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ 2023-2024 სასწავლო წლიდან შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს სამიზნე ცნებების მიმართ. კომპლექსური დავალებით მოსწავლე შეფასდება სოლო ტაქსონომიის შესაბამისად, რომელიც მასწავლებელს საშუალებას მისცემს დაინახოს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ და რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშებიდან, რომლის გამოყენებაც იგეგმება 2023-2024 სასწავლო წელს, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ შეფასების სისტემა იქნება სანდო და ობიექტური; ვინაიდან, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა სტანდარტში მოცემულ თითოეული თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების მიღწევის ინდიკატორებს ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. მსგავსი ტიპის შეფასება პრაქტიკაში გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ობიექტურად შევაფასოთ თითოეული მოსწავლე. მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო საზოგადოებას და პირველ რიგში მოსწავლეს ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება ნათლად მიემართება და მიზნობრივად აფასებს სწავლის შედეგებს. ასევე, მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული შეფასების კრიტერიუმები, რომ მოსწავლეს გააზრებული ჰქონდეს რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

მისმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ დაინახონ რატომ არის მათი სწავლის შედეგი ღირებული და რა როლს ასრულებს ეს შედეგი სწავლის პროცესში მიზნებთან მიმართებით. შეფასების რუბრიკების გამჭვირვალეობის მიზნით, სკოლა გეგმავს მათ გასაჯაროებას. სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ ამისათვის სკოლა გამოიყენებს სკოლის ვებგვერდს, ელექტრონულ ფოსტას, ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალურ მედიას, ბეჭდვით მასალას, საინფორმაციო დაფას და სხვა საშუალებებს. ასევე, სასწავლო პროცესში სკოლა იზრუნებს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე. ხოლო კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

სკოლას ამ ეტაპზე შემუშავებული და დოკუმენტირებული ვერიფიკაციის მექანიზმი არ აქვს, რაც მოსწავლეთა განვითარების დინამიკას დაადგენს, თუმცა სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს მის შემუშავებას. სკოლა გამოთქვამს მზაობას, დაადგინოს მოსწავლეთა პროფილები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტიებები. ჩანაწერებიდან ჩანს, რომ შეფასებაზე და შედეგების გაანალიზებაზე გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები ითანამშრომლებენ კათედრებთან და ყოველ ჯერზე მიიღებენ ამ ციკლურ პროცესებში მონაწილეობას. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა დააზუსტეს შეფასების მეორე ინსტრუმენტის გამოყენება და, ასევე, დააზუსტეს, რომ დიაგნოსტირებას განახორციელებენ წელიწადში ორჯერ, რაც მათ საშუალებას მისცემს, დაადგინონ მოსწავლეთა ინდივიდუალური და კლასის პროფილები და მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. პედაგოგებმა აგრთვე ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კათედრის შეხვედრებზე გეგმავენ განიხილონ და გამოკვეთონ მოსწავლეების საჭიროებები და ასევე, გამოკვეთონ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწავლა-სწავლების პროცესის საყრდენს.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელსაც ახლავს დაწესებულების მიერ შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული აქტივობის შესრულების ადამიანურ რესურსად მითითებულია დირექტორი და კათედრები. **აქედან გამომდინარე, დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ელექტრონული ჟურნალი უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში. რასაც დოკუმენტურადაც დაადასტურებენ. მათ გააზრებული აქვთ ამ მიმართულებით პასუხისმგებლობა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას დოკუმენტის წარმოებასთან და სკოლაში მათ შენახვასთან დაკავშირებული რეგულაციები. ამისათვის სკოლას გააჩნია განკუთვნილი სივრცე, სადაც ხდება დოკუმენტების დაცვა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები
- კათედრების შემაჯამებელი ოქმები (რესურსი N12)
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესის ეფექტიანობის თვალსაზრისით სკოლაში შექმნილია ჯანსაღი, პოზიტიური გარემო. როგორც წესი, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ესგ-ს, სკოლაში სწავლა სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს. სასწავლო პროცესისთვის ღია მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებასა და სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემოს შექმნას. მასწავლებლებს შორის იგრძნობა თანამშრომლობითი ურთიერთობები, ჩანს გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა , რომ სკოლისათვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი გზა.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები და არსებული პროექტების საქმიანობა ნათელს ხდის, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, გათვალისწინებულია მისი ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები, უზრუნველყოფილია მისი პოტენციალის რეალიზება და პიროვნული განვითარება. საბაზო საფეხურზე დაგეგმილია მრავალი აქტივობა, არაფორმალური განათლების ხაზით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. მოსწავლეებთან თანამშრომლობით ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან. აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; მოსწავლეებმა მიღებული პროდუქტი და ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ სიტყვიერად, ასევე, ისინი ეცნობიან ერთმანეთის ნამუშევრებს, უზიარებენ გამოცდილებას და შესაძლოა, ერთობლივადაც წყვეტენ კომპლექსურ დავალებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლაში არის კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობითი ატმოსფერო, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მათი შემუშავების პროცესში კათედრის წევრების თანამშრომლობა და განხორციელებული პროექტებში მასწავლებელთა, მშობელთა და დირექციის ჩართულობის ხარისხი. სკოლის თანამშრომლები თავისი შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის ფარგლებში ცდილობენ ერთობლივად იზრუნონ მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში, მათ მიერ განხორციელებულ სასკოლო აქტივობებსა და პროექტებში, ნათლად ჩანს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობა. თანამშრომლობითი კულტურა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებთან და დირექციასთან ინტერვიუში , შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. სასწავლო გეგმები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად ცდილობენ სასწავლო სივრცის გამრავალფეროვნებას. ყოველივე ეს ხელს უწყობს პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნას სკოლისა და კლასის დონეზე. მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავისუფლად წარმოადგინონ დავალებები და მეტად თავდაჯერებულნი იყვნენ. სკოლის ერთწლიან სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია, სწავლა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას; მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები,
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

მონიტორინგი სასწავლო პროცესის თანმდევი პროცესია, შეფასება კი სასწავლო პროცესის ეფექტიანობის მტკიცებულება. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. განსაზღვრავენ

სამიზნე ცნებებს, კომპლექსური დავალების პირობას, შესაბამის აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს. სკოლა გეგმავს მონიტორინგის უფრო ეფექტური მექანიზმის შექმნას, გამოიყენებს დიაგნოსტიკურ შეფასებას. მასწავლებლებთან გასაუბრებით ნათელი ხდება, რომ მონიტორინგი სკოლაში დაკვირვებით მიმდინარეობს. მოსწავლეთა შეფასებით ხდება შედეგების გაანალიზება. სკოლა ახალი სასწავლო წლიდან გეგმავს განსაზღვრული მეთოდოლოგიის ჩარჩოს შემუშავებას, რომელითაც მოხდება კურიკულუმების მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ საგნობრივი კათედრები, რათა მომავალი სასწავლო წლისთვის მოხდეს მიღებული შედეგების გათვალისწინება სასწავლო კურიკულუმების დახვეწის მიზნით.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის პრიორიტეტული მამართულეებაა მონიტორინგისა და შეფასების სისტემების მექანიზმების სრულყოფა, სასურველია, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებმა უნდა შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. პედაგოგებს ესმით საკუთარი ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების გაძლიერებისა და მხარდაჭერისათვის. ამისათვის სკოლაში და კათედრაზეც გადანაწილებულია პასუხისმგებლობები და მასში აქტიურადაა ჩართლი სასკოლო საზოგადოება. პრაქტიკაზე დაყრდნობით ხდება საკუთარი და კოლეგების გამოცდილების გაზიარება და გამოყენება. კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის შემთხვევაში გეგმავენ მოდიფიცირება გაუკეთონ არსებულ კურიკულუმებს და შეცვალონ ისინი მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენის და მათზე მორგების თვალსაზრისით. მიღწევების დასაფიქსირებლად და საჭიროებების გამოსავლენად გეგმავენ მასწავლებლის, მშობლის, ადმინისტრაციის უკუკავშირის გამოყენებას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში იკვეთება სწავლის დროს გამოვლენილი ხარვეზები, პედაგოგიურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. შეფასების პროცესის სწორი წარმართვა განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის შემუშავებისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

განვითარების მეთოდოლოგია, სადაც დეტალურადაა აღწერილი, როგორ მოხდება კურიკულუმზე მონიტორინგი და შეფასება და ამ პროცესზე პასუხისმგებელი შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

სკოლის ხედვა ასეთია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. ინტერვიურების დროს მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ პროცესების, მოსწავლის პრობლემის გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია, ეს ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან კი ჩანს, რომ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება როგორც ფაქტობრივი და პროცედურული, ასევე პირობისეული ცოდნის გათვალისწინებით. ეს დასტურდება სკოლის მიერ

წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციიდან, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან, რომელთა შესრულებაც მოითხოვს სამივე კატეგორიის ცოდნას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა შეფასება განხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ინტერვიურების პროცესში კათედრის წევრები საუბრობდნენ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ, ისინი აღნიშნავდნენ, რომ სურვილის მიხედვით ახორციელებდნენ კომპლექსურ დავალებებს და ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ. განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში კი ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები, სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი კონტექსტები. სკოლა გეგმავს მომავალშიც მოსწავლეთა შეფასება მოახდინოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სწორედ მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეფასება ატარებდეს ჰოლისტურ ხასიათს. ეს კონტექსტები შეიძლება იყოს: კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება მრავალფეროვან მეთოდებზე დაყრდნობით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ; სიტუაციის, მოვლენის, მოსწავლის უნარისა და შესაძლებლობებისა თუ სხვა ასპექტების შესწავლისას გადამწყვეტია მაქსიმალურად ამომწურავი და ვალიდური ინფორმაციის მიღება, რაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რაც მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს.

სკოლა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ მოახდინოს მოსწავლეთა დიაგნოსტირება, რაც კათედრის წევრებთან ინტერვიურების დროს გამოიკვეთა. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------
------------------------

სკოლის მათემატიკის კათედრა აპირებს შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; მართალია, კომპლექსური დავალებებით სწავლა-სწავლების პროცესი არ გულისხმობს მოსწავლეთა შეფასებას განმსაზღვრელი შეფასებით, თუ მას სპეციალურად არ მიანიჭა მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალების სტატუსი, მაგრამ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს,

მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. შესაბამისად,

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები და მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები
- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

#### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილია თვითშეფასების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი, როგორ მოხდება კურიკულუმზე მონიტორინგი, გადასინჯვა და შეფასება. ინტერვიურებისას გაირკვა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს იგეგმება კათედრების შეხვედრებზე საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესის განიხილვა, როგორ მოახდენენ მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას, რათა შეიმუშაონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი; მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობდეს მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. მნიშვნელოვანია, რომ საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც სკოლას აქვს წარმოდგენილი ასახავდეს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც

გათვალისწინებული იქნება სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ამ გამოცდილებას გაითვალისწინებენ, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზეც. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად სკოლა გეგმავს ჩართული იყოს საგნობრივი კათედრების ყველა მასწავლებელი და სასკოლო საზოგადოების ყველა ის წევრი, ვისაც რაიმე წვლილი შეაქვს კურიკულუმის განვითარებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი შეფასების ჯგუფის ფუნქციები, რაც ითვალისწინებს კვლევებს, მონიტორინგს და შეფასებას, რომელთა შედეგებიც სკოლას საშუალებას აძლევს შეიტანოს გარკვეული ცვლილებები მომდევნო წლის კურიკულუმებში. რადგან სკოლაში არსებობს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, ამიტომ ეს ფაქტორი შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს კურიკულუმების გადასინჯვა და მისი გაუმჯობესება;

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ჯგუფის წევრების ხელმოწერა

ნინო შუბლაძე  /ნინო შუბლაძე/

ნელი ნაოჭაშვილი  / ნელი ნაოჭაშვილი/

ნინო კილაძე  /ნინო კილაძე/

მარინა თავართქილაძე  /მარინა თავართქილაძე/



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

თამარი დეკანოსიძე /თამარი დეკანოსიძე/

თემურ კურცხალია /თემურ კურცხალია/

როლანდი ხოჯანაშვილი /რ. ხოჯანაშვილი/

მზია დადვანი /მზია დადვანი /

ედუარდ ნაკაიძე /ედუარდ ნაკაიძე/

ნინო ჭიჭინაძე /ნინო ჭიჭინაძე/

04.12.2023

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------